

ღია ტურნირი სწრაფ ჭადრაკში - „მამია ხარაზის მემორიალი“
4-6 ოქტომბერი 2019 წ. ქ. ბათუმი, სასპორტო სკოლის დარბაზი

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ორგანიზატორები: აჭარის ჭადრაკის ფედერაცია;
აჭარის სპორტის დეპარტამენტი.

1. ჩატარების ვადები და ადგილი:
04.10.-06.10. 2019 წ. ქ. ბათუმი, სასპორტო სკოლის დარბაზი, გორგილაძის ქ. N 91
ჩატარდება 2 ტურნირი, ღია და 12 წლამდე ჭაბუკებსა და გოგონებს შორის.
(2007 წლამდე დაბადებულნი)
2. სისტემა და კვალიფიკაცია:
ტურნირი ტარდება ფიდეს წესებით, შვეიცარული სისტემით 9 ტურად. თითოეულ შეჯიბრებაში რეიტინგიან მოჭადრაკეთა 30% მონაწილეობის შემთხვევაში დაითვლება ფიდეს რეიტინგი. აუცილებლობის შემთხვევაში ტურნირის ჩატარების სისტემას განსაზღვრავს ორგანიზატორი.
3. დროის კონტროლი:
თითოეულ მონაწილეს მიეცემა 15 წუთი პარტიის ბოლომდე, ყოველ სვლაზე 10 წამის დამატებით.
4. რეგისტრაცია და სატურნირო შესატანი:
მონაწილეებმა რეგისტრაციისას უნდა გადმოაგზავნონ დაბადების მოწმობის ასლი და ფედერაციის საბანკო ანგარიშზე ჩემპიონატის სატურნირო შესატანის გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი 2019 წლის 3 ოქტომბრის 19:00 საათამდე. ელ-ფოსტაზე -chessketevan@mail.ru, მობ: 593 302 158
საბანკო ანგარიში: საიდენტიფიკაციო კოდი: 245424704 ს.ს. "საქართველოს ბანკი",
მფო BAGAGE22 ანგარიშის № GE95BG000000363099200
რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2019 წლის 3 ოქტომბრის 19.00 საათი.
სატურნირო შესატანია: 15 ლარი (უნაღდო ანგარიშსწორებით).
რეგისტრაციის ბოლო ვადის დარღვევის შემთხვევაში ორგანიზატორს უფლება აქვს არ დაარეგისტრიროს მოჭადრაკე, რომელმაც დაარღვია რეგისტრაციის ვადები.
5. თაი- ბრეიქი:
ორი ან რამოდენიმე მონაწილის მიერ თანაბარი რაოდენობის ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები განაწილდება:
 1. ურთიერთშორის შეხვედრა;
 2. ბუჰგოლცი-1 (1 უდაბლესის გამოკლებით);
 3. ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი);
 4. შავებით ნათამაშები პარტიების მეტი რაოდენობით;
 5. მოგებების მეტი რაოდენობით.

ტურნირების განრიგი:

ტური	რიცხვი	დია ტურნირი	12 წლამდე ჭაბუკები და გოგონები
გახსნა	4 ოქტომბ	14:30	14:30
I - III ტური	4 ოქტომბ	15:00	15:00
IV - VI ტური	5 ოქტომბ	15:00	15:00
VII – IX ტური	6 ოქტომბ	15:00	15:00
დახურვა	6 ოქტომბ	18:00	18:00

6. გამარჯვებულები:

- ორივე ტურნირში I ადგილზე გასული მოჭადრაკე ვაჟი დაჯილდოვდება მამია ხარაზის თასით, მედლით, დიპლომით და ჭადრაკის კომპლექტით ელექტრონულსაათთან ერთად.
- II ადგილზე გასული მოჭადრაკე ვაჟი დაჯილდოვდება მედლით, დიპლომით და ელექტრონულსაათით.
- III ადგილზე გასული მოჭადრაკე ვაჟი დაჯილდოვდება მედლით, დიპლომით და ჭადრაკის კომპლექტით.
- ორივე ტურნირში I ადგილზე გასული მოჭადრაკე ქალი დაჯილდოვდება მედლით, დიპლომით და ჭადრაკის კომპლექტით ელექტრონულსაათთან ერთად.
- II ადგილზე გასული მოჭადრაკე ქალი დაჯილდოვდება მედლით, დიპლომით და ჭადრაკის კომპლექტით.
- III ადგილზე გასული მოჭადრაკე ქალი დაჯილდოვდება მედლით, დიპლომით და ჭადრაკის კომპლექტით.
- ასევე გამოიყოფა ნომინაციები 8,10 და 14 წლამდე ჭაბუკებისა და გოგონების კატეგორიებში. საუკეთესო შედეგის მქონე 1 გოგონა და 1 ჭაბუკი დაჯილდოვდება ფასიანი საჩუქრით.
- ქობულეთის რაიონის მოჭადრაკეები და მათი მასწავლებელი დაჯილდოვდება სიმბოლური ფასიანი საჩუქრით.
- ასევე ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვდება საუკეთესო შედეგის მქონე ვეტერანი მოჭადრაკე.

7. საერთო წესები:

- მონაწილის ტურნირიდან არასაპატიო მიზეზით გათიშვის შემთხვევაში გათვალისწინებულია სანქციები საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის ბრძანების (№10. 20/01/2014 წ.) შესაბამისად. პარტიის მსვლელობისას მობილურის დარეკვის შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება.

ტურნირის დირექტორი: აჭარის ჭადრაკის ფედერაციის გენერალური მდივანი ქეთევან მუხაშარია.

ტელ: 593 302158

ტურნირის მთავარი მსაჯი: საერთაშორისო ოსტატი სოფიკო ტერელაძე